ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ზვიად ჩახნაშვილი

საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში გაწევრიანების საკითხის სამართლებრივი და გეოგრაფიული ასპექტები

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფესორი **გიორგი გოგსაძე**

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი

თბილისი, 2018

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში შევეხებით მსოფლიოს საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებს. მათ წევრსა და არაწევრ ქვეყნებს, ტერიტორიებს, სუბიექტებს. ასევე მიმოვიხილავთ ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ზოგიერთ სამართლებრივ საკითხსაც. თემის **აქტუალურობა** გამომდინარეობს იქიდან , რომ სპორტი, სპორტული აქტივობები ხშირად არის და გამხდარა კიდეც კონფლიქტის დაწყებისა და დამთავრების მიზეზი. ასევე ძალიან დიდი ყურადღება ექცევა დღევანდელ მსოფლიოში ოფიციალურ სპორტულ შეჯიბრებებს, როგორიცაა მაგალითად ოლიმპიადა, ფეხბურთის, კალათბურთის თუ რაგბის მსოფლიო პირველობები. ხშირად სახელმწიფოებს შორის ამა თუ იმ შეჯიბრებაში მონაწილეობა ანდაც , ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება ხდება პოლიტიკური მანიპულაციის საგანი. ასევე ჩვენ, საქართველოს ტერიტორიაზეც გაგვაჩნია გარკვეული სუბიექტები რომლებსაც სურთ გახდნენ სრულფასოვანი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების წევრები. ამიტომ ვთვლი, რომ გარკვეული კვლევის ჩატარება, მოძიება იმ სამართლებრივი საკითხებისა, რომლის მიხედვითაც მოქმედებენ მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციები, საინტერესო იქნება და **მიზანიც** სწორედ ესაა, რომ მოვხაზოთ გარკვეული ჩარჩოები ამ რეგულაციების გარშემო. თუ როგორ ხდება გაწევრიანებ? რა პრინციპები არის გათვალისწინებული? არის თუ არა, რაიმე უნივერსაულური მიდგომა? კვლევისას გამოყენებული მაქვს ინტერნეტ მასალები: როგორიცაა სამეცნიერო სტატიები, პუბლიკაციები, ვიდეო მასალები, საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური გვერდები. აღნიშნულ ნაშრომი მოიცავს ანალიტიკური კვლევის, ლიტერატურილი, შედარებითი და კარტოგრაფიული კვლევის მეთოდებს.

Annotation

The main point of my master thesis is to research international sports organizations of the world,their member and non-member countries. We will also discuss some legal issues of membership in these organizations. Actuality and relevance of the thesis is derived from the fact that sports and sports activities often have become the reason for the beginning and the end of the conflict. It should be mentioned that there is a big interest and great attention to the official sports competitions in the modern world such as Olympic Games, Football, Basketball and Rugby World Championships. Participating in a competition among states, or membership of some international organizations, is often the subject of political manipulation. We also have some subjects in the territory of Georgia who wants to become full-fledged members of international organizations. Therefore, I believe that carrying out some research, finding the legal issues under which the international organizations operate, will be interesting and the goal is to draw some frameworks around these regulations. How to join? What principles are included? Are there universal approaches?

I have used Internet materials such as scientific articles, publications, video materials, official pages of international organizations. Master thesis includes analytical researchs, literary, comparative and cartographic research methods.

სარჩევი

შესავალი----------5 გვ.

თავი 1; სპორტი და ნაციონალიზმი ---------- 8 გვ.

1.1საერთაშორისო სპორტ. ორგანიზაციები და გაწევრიანების პოლიტიკა ------- 8 გვ.

1.2 ქვეყნების სპორტული ინტერესების გააზრება ნაციონალიზმის და კლასიკური რეალიზმის თეორიების ჭრილში ---------- 10 გვ.

თავი 2; არასუვერენული სახელმწიფოების მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში ---------- 16 გვ.

2.1 კოსოვოს პრეცედენტი ---------- 16 გვ.

2.2 ეგრედწოდებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სწრაფვა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში ---------- 22 გვ.

2.3 რა არის ConIFA ? ---------- 29 გვ.

2.4 ფარერის კუნძულები და გიბრალტარი ---------- 33 გვ.

თავი 3 ; პოლიტიკის გავლენა სპორტზე---------- 36 გვ.

3.1 პოლიტიკური სპორტი ---------- 36 გვ.

3.2 რიმლენდის თეორია და CONIFA-ს გეოპოლიტიკური ასპექტები ---------- 43 გვ.

დასკვნა ---------- 45 გვ.

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 46 გვ.

დანართი ---------- 49 გვ.

შესავალი

სპორტი ძალიან დიდ როლს თამაშობს დღევანდელი მსოფლიოს ცხოვრებაში. მას ექცევა უდიდესი ყურადღება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და ხშირად ეს არის ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი წესი, მნიშვნელოვანი ასპექტი თვით სახელმწიფოების ცხოვრებასა და არსებობაშიც კი. გამოჩენა სპორტულ შეჯიბრებებზე, მათში მონაწილეობა, ხშირად არის ტერიტორიული სუბიექტების და ადამიანების , რომლებიც ცხოვრობენ ამ ტერიტორიებზე , უმთავრესი მიზანი . ხოლო ამ შეჯიბრებზე წარმატების მიღწევა და საკუთარი ქვეყნის წარმოჩენა არის ყველა სპორტსმენის ოცნება და ერთ-ერთი უდიდესი მიზანი.

შესაბამისად მსოფლიოში არსებობს უამრავი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია, სადაც ხდება გაწევრიანება იმ ტერიტორიული სუბიექტის ოფიციალურ დონეზე. ეგრედ წოდებული აღიარება ოფიცილურ დონეზე. აქ შეგვიძლია ვახსენოთ ის უდიდესი სპორტული ორგანიზაციები რომლებიც აწყობენ შეჯიბრებებსა და აღიარების პროცდეურებიც ამ ორგანიზაციებში ხდება.

1892 წელს , როდესაც ერთმა ფრანგმა განმანათლებელმა და ისტორიკოსმა პიერ დე კუბერტინმა (Pierre de Coubertin) [1] გამოთქვა იდეა რომ შეექმნათ ოლიმპიური კომიტეტი და აღედგინათ ძველ-ბერძნული სპორტული შეჯიბრების ტრადიცია. იდეა მალე არათუ განხორციელდა, არამედ გახდა იმდენად პოპულარული, რომ დღესდღეობით ოლიმპიური კომიტეტი არის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სპორტული ორგანიზაცია მთელს სპორტულ სამყაროში. ოლიმპიურ შეჯიბრებაზე

---

[1] History on the Net. (n.d.). *The Olympics – Pierre de Coubertin*. Retrieved from www.historyonthenet.com: https://www.historyonthenet.com/the-olympics-pierre-de-coubertin/

კი მიღებული აღიარება და მედალი კი არის ერთ-ერთი უდიდესი ჯილდო. შესაბამისად, აღიარება და წევრობა ოლმპიური კომიტეტისა არის მიზანი ნებისმიერი ტერიტორიული სუბიექტისა, რადგან ესაა ერთგავრი გარანტი კიდეც შემდგომი ოფიციალური ნაბიჯებისა სპორტის სხვა შეჯიბრებებზე.

ასევე უდიდესი სპორტული ორგანიზაციაა ფიფა (FIFA) FIFA (Federation Internationale de Football Association) , ითვლის უფრო მეტ ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს (გუნდს) ვიდრე ნებისმიერი სხვა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია. მისი წევრები იყოფიან ორ ნაწილად: 1) გუნდები, რომლებიც არიან პირდაპირი წევრები ამ ასოციაციის (211 ნაკრები) ან აქვთ წევრობა ფიფას- მიერთებულ (ფიფას დაქვემდებარებულ(FIFA-affiliated)) კონტინენტურ ფედერაციებში (12 ნაკრები).

2) ნაკრებები, რომლებიც არ არიან ფიფას ან რომელიმე კონფედერაციის წევრები, მაგრამ წარმოადგენენ სუვერენულ ტერიტორიებს (sovereign states) . ამ ჯგუფში არიან ქვეყნები, რომლებიც შესაძლოა იყვნენ ან არ იყვნენ გაეროს წევრები, ან არაწევრები და დაკვირვების ქვეშ მყოფი ტერიტორიები (12 ნაკრები, მაგალითად: პალესტინა, ტაივანი, ზანზიბარი და ა.შ.) [2]

კვლევის ობიექტი რასაც ჩვენ შევეხებით თემაში, არის საერთაშორისო ორგანიზაციები და მათში გაწევრიანების გზები , რეგულაციები ზოგიერთი სუბიექტის მაგალითზე. მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სუბიექტების მაგალითზეც. კვლევის საგანი არის ის თუ რამდენადაა ამ ორგანიზაციების გავლენა გარკვეულ პოლიტიკურ ურთიერთობებსა და ამა თუ იმ ტერიტორიული სუბიექტის აღიარება-არაღიარების პროცესებზე. ხოლო ამოცანას წარმოადგენს დავადგინოთ ის მიზეზები და გავიაზროთ ის შედეგები თუ რა

---

[2] Wikipedia. (n.d.). *List of men's national association football teams*. Retrieved from https://en.wikipedia.org: https://en.wikipedia.org/wiki/List_of_men%27s_national_association_football_teams

შეიძლება მოგვიტანოს ან არ მოგვიტანოს საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებმა, მიიღონ თუ არა ესა თუ ის აპლიკანტი ტერიტორიული სუბიექტი თავის რიგებში სრულფასოვან წევრად. საკვლევ კითხვად შეგვიძლია მივიჩნიოთ არის თუ არა საერთაშორისო სპროტული ორგანიზაციებში ერთიანი ცენტრალიზებული მიდგომა ამ სუბიექტების გაწევრიანება - არგაწევრიანებას შორის? ასევე რა როლს თამაშობს პოლიტიკა სპორტულ ცხოვრებაში ან პირიქით?

კვლევისას გამოყენებული მაქვს ინტერნეტ მასალები: როგორიცაა სამეცნიერო სტატიები, პუბლიკაციები, ვიდეო მასალები, საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური გვერდები. აღნიშნულ ნაშრომი მოიცავს ანალიტიკური კვლევის, ლიტერატურილი, შედარებითი და კარტოგრაფიული კვლევის მეთოდებს.

თავი 1

სპორტი და ნაციონალიზმი

1.1

საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები და მათში გაწევრიანების პოლიტიკა

ფიფა, უეფა, ოლიმპიური კომიტეტი , ფიბა, რაგბის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვა უამრავი საერთაშორისო დონეზე აღიარებული ორგანიზაცია არსებობს დღესდღეობით. ყველა ამ ორგანიზაციას აქვს გარკვეული რეგულაციები, რომლის მიხედვითაც , ისინი იღებენ ახალ წევრებს და არეგულირებენ მათ ან უკვე არსებული წევრების მონაწილეობას სხვადასხვა შეჯიბრებებზე. ძირითადი პრინციპი რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები ეყრდნობიან, არის აღიარება. თუ გარკვეული ტერიტორია, სუბიექტი აღიარებულია საერთაშორისო დონეზე, მას უკვე აქვს უფლება განაცხადოს სურვილი მიიღოს მონაწილეობა, გახდეს წევრი ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციის. მხოლოდ ამის შემდეგ მოდის სხვა რეგულაციები, როგორიცაა: საკუთარ ტერიტორიაზე შეჯიბრებების ჩატარების შესაძლებლობა, ორგანიზება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სპორტული ინვენტარის სათანადო დონეზე მოყვანა. აქ უკვე ჩანს პოლიტიკის გავლენა ნებისმიერ სპორტზე. იმიტომ, რომ საერთაშორისოდ აღიარება , ეს უკვე პოლიტიკის ნაწილია, ხოლო პირველი რასაც სპორტული ორგანიზაციები უყურებენ, არის აღიარება საერთაშორისო დონეზე. ხოლო გარკვეულ გამონაკლისებზე, პრეცედენტებზე, რომლებიც ასე თუ ისე მრავლადაა მაინც მსოფლიოს მასშტაბით, ვისაუბრებთ უკვე თემის

შემდეგ ნაწილში. მიმოვიხილავთ და გავაანალიზებთ. ვეცდებით ვიპოვოთ ის მიდგომა, ის საერთო ცენტრალიზებული ანდაც გამაერთიანებელი პრინციპი, რითაც ხდება გაწევრიანება და მონაწილეობა სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებზე.

ხოლო არაღიარებული სუბიექტების გაწევრიანება კი იმ სახელმწიფოს გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია რომლის შემადგენლობაშიც არის აღიარებული საერთაშორისო დონეზე. აქაც სწორედ ძლიერთა პოლიტიკა თამაშობს უდიდეს როლს.

სპორტი არის და გამხდარა კიდეც უამრავი დაპირისპირების , ტერიტორიული კონფლიქტის, განხეთქილების მიზეზი. ვეცდები განვიხილო ზოგიერთი მათგანი, მოვიყვანო მაგალითები, გამონაკლისები და მიმოვიხილო, რათა გარკვეულწილად გავერკვეთ თუ რა მიდგომები და პრინციპები აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს მათში ახალი წევრების მიღებისა. თუ რა პოლიტიკით ხელმძღვანელობენ ასეთ შემთხვევებში.

1.2

ქვეყნების სპორტული ინტერესების გააზრება ნაციონალიზმის და კლასიკური რეალიზმის თეორიების ჭრილში

ნაციონალიზმა, როგორც იდეოლოგიამ და მოძრაობამ უდიდესი როლი ითამაშა თანამედროვე მსოფლიოს ფორმირებაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღნიშნულ თეორიას გამოუსადეგრად მიიჩნევდნენ და თვლიდნენ რომ გლობალიზაციის პროცესის განუხრელი ზრდა დააკნინებდა მას, მაგრამ საინტერესო და პარადოქსულია აღნიშნული საკითხი. ნაციონალიზმი ერთის მხრივ ეწინააღმდეგება გლობალიზაციის პროცესს და მეორეს მხრივ ის სწორედ მისი შედეგია. რთულია აღნიშნული იდეოლოგიას ერთი ახსნა მოუძებნო, მაგრამ ლ. სნაიდერის განმარტება ვთვლი, რომ ყველაზე კარგად ხსნის აღნიშნულ თემას: „ნაციონალიზმი ხალხთა გარკვეული ჯგუფის საერთო აზრის, გრძნობის და განწყობის გამოხატვაა, რომლებიც ცხოვრობენ ერთ გეოგრაფიულ არეალში , საუბრობენ საერთო ენაზე და აქვთ ლიტერატურა, რომელშიც მათი ეროვნულობა გამოიხარება, ზოგ შემთხვევაში გააჩნიათ საერთო რელიგია. რა თქმა უნდა ყველა დეფინიციას აქვს გამონაკლისი.“ სნაიდერის ეს განმარტება მართლაც, რომ ყველაზე კარგად გამოხატავს სათქმელს, მაგრამ აქვე იბადება კითხვა შედის თუ არა სპორტი ზემოთ ნახსენებ ჩამონათვალში? ნაშრომის შემდეგ თავებში შევეხებით ისეთ პრობლემას, როგორიცაა არ აღიარებული ან ნაწილობრივ აღიარებული რესპუბლიკების საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანების პრობლემა. არის თუ არა ეს საკითხი პირდაპირ კავშირში ნაციოანლიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემასთან, როგორიცაა ერთა თვითგამორკვევა ან სიმბოლიზმი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

გაეროს წესდებაში (თავი I; მუხლი I) ვკითხულობთ:

გაერო მიზნად ისახავს : განავითაროს მეგობრული ურთიერთობები ერებს შორის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე, აგრეთვე მიიღოს სხვა შესაბამისი ზომები საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად.

აღნიშნული განმარტებები რომ წარმოვიდგინოთ არა სახელმწიფოების დონეზე, არამედ როგორც არაღიარებული ქვეყნის სპორტული ნაკრებების კუთხით დავინახავთ, რომ აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის საფეხბურთო ნაკრებს (არა მხოლოდ ნაკრებს, თვით აფხაზეთს) აქვს უფლება გააკეთოს განაცხადი ისეთი ტიტულოვანი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების წევრობაზე, როგორიცაა FIFA , UEFA, FIBA, საერთაშორისო ოლიმპიური ორგანიზაცია და სხვ. მაშინ რატომ არ განიხილა მაგალითად FIFA-მ აფხაზეთის გაწევრიანების საკითხი, მაშინ როდესაც თავის რიგებში მიიღო კოსოვო და ფარერის კ-ები, აღნიშნულ ქეისზე დაწვრილებით ვისაუბრებთ შემდეგ თავებში, თუმცა მოთხოვნები, რომელსაც აყენებდა ეს ორგანიზაცია სრულყოფილად ვერც აფხაზეთი და კიდევ უფრო ნაკლებად კოსოვო აკმაყოფილებდა. ახსნა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, ეს იყო პოლიტიკური ნიშანი. სწრაფვა ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად სწორედ რომ ნაციონალიზმის ერთგვარ გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს. ზემოთ ვახსენე სიმბოლოზმი, რომელიც ერთ-ერთი დამახასიათებელია აღნიშნული იდეოლოგიის. მაგალითისთვის, მსოფლიო ჩემპიონატზე ვხვდებით ისეთ მნიშვნელოვან სიმბოლიკებს , როგორიცაა დროშა, ჰიმნი და თვით ნაკრები თუ სპორტსმენები, რომლებიც წარმოადგენენ ერთ კონკრეტულ ქვეყანას. საფრანგეთის ეროვნულ გუნდში ეთნიკური ფრანგები უმცირესობაში არიან, მაგრამ ეს ამ გუნდის ნაციონალიზმს არ აკნინებს. გადამწყვეტ როლს სწორედ გუნდის სახელი და ის სიმბოლოები ატარებს რომელთაც ატარებენ მონაწილეები. მსოფლიო დონის სპორტული ღონისძიებები არის ნამდვილი მაგალით თანასწორობის და იდენტობის დამტკიცების. სწორედ ეს არის მიზანი სეპარატისტული მთავრობების, რომ ისინი

რაც შეიძლება მეტჯერ გამოჩნდნენ საეთაშორისო ასპარესზე, მეტად მოხვდნენ თვალში მსოფლიოს .

ნაციონალიზმს ორი ფორმა ახასიათებს სეცესია-გამოყოფა და უნიფიკაცია-გაერთიანება. პირველი ფორმის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ უელსის და შოტლანდიის ნაკრებები, რომლებიც მიუხედავად გაერთიანებულ სამეფოს შემადგენლობაში ყოფნისა, დამოუკიდებლად ასპარეზობენ გარკვეულ სპორტულ ღონისძიებებზე. ასევე ამის ნათელი მაგალითია გიბლარტარი , რომლის შესახებ საუბარი მომდევნო თავებში გვექნება. ხოლო უნიფიკაციის კარგი მაგალითია გერმანიის გაერთიანება და ერთი ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბება, ინდივიდუალურ დონეზე ასპარეზობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით.

სპორტულს საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების თემის განხილვა შეიძლება განვიხილოთ კლასიკური რეალიზმის ჭრილში.

კლასიკური რეალიზმის თეორია სათავეს ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იღებს. ძველი ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე თავის ნაშრომში „ისტორია“ აღწერს საბერძნეთის პოლისებს შორის ბრძოლას და ძალთა უთანასწორო გადანაწილებაზე სადაც არ არსებობს სამართლიანობა და რეალობაა ის რომ არსებობს ძალთა უთანასწორო გადანაწილება. „სამართლის სტანდარტი დამოკიდებულია ძალის თანასწორობაზე... ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი ძალაც შესწევთ და სუსტნი ურიგდებიან იმას, რასაც უნდა შეურიგდნენ.“

რეალიზმის თეორია გამოიყენება არ მხოლოდ საეთაშორისო პოლიტიკის დონეზე, არამედ სოციალური სფეროს თითქმის ყველა მოვლენის ასახსნელად. გამონაკლისს არც საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში გაწევრიანება წარმოადგენს. კოსოვოს პრეცენდენტი, რომელიც ვრცლად განხილულია შემდეგ თავებში, სწორედ რეალიზმის გამოვლინების ნათელი მაგალითია. აღნიშნული ქვეყანა აღიარებულია 100ზე მეტი სახელმწიფოს მიერ. გაეროს წევრი ქვეყნების თითქმის ნახევარი არ

აღიარებს აღნიშნულ ქვეყანას, მაგრამ ის გაწევრიანეუბულია ყველა დიდ სპორტულ ორგანიზაციაში. მნიშვნელოვანია ხშირ შემთხვევაში არა ქვეყნების რაოდენობა, არამედ იმ ქვეყნების გავლენა და სიძლიერე რომლებიც აღნიშნულ საკითხს ლობირებენ. როგორც მხარის დაჭერის, ასევე უარყოფის მიზეზი ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური ან ზოგ შემთხვევაში შეიძლება რელიგიურიც იყოს. მაგალითად საბერძნეთმა არ დაუჭირა მხარი კოსოვოს მიღებას არც ერთ მნიშვნელოვან ორგანიზაციაში, რადგან ალბანეთის მოსახლეობის უმრავლესობა მართმადიდებელის ქრისტიანია საბერძნეთის მსგავსად. საქართველო არ ცნობს არც კოსოვოს სუვერენიტეტს და არც მხარს უჭერს მის გაწევრიანებას საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში, გასაგები სუბიექტური მიზეზების გამო. იგივე პოლიტიკური მიზეზის გამო არ დაუჭირა მხარი ესპანეთმა, მაგრამ კოსოვო და გიბრალტარი არიან სრულფასოვანი წევრი ქვეყნები და იღებენ მონაწილეობას ასპარეზობებში. აღნიშნულ საკითხს კარგად ხსნის რეალიზმის კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ჰანს მორგენთაუ მის ექვს პრინციპში.

1. პოლიტიკა ფესვგადგმულია ადამიანის პერმანენტულად უცვლელ ბუნებაში, რომელიც არის ეგოისტური და ეგოცენტრული.
2. პოლიტიკა არის ავტონომიური სფერო და არ შეიძლება მისი დაყვანა ეკონომიკამდე (როგორც ამას მარქსიზმის მიმდევერები აკეთებენ), ან მორალამდე (როგორც ამას კანტის ლიბერალური თეორიის მიმდევრები აკეთებენ ხოლმე). სახელმწიფო მეთაურებმა უნდა იმოქმედონ პოლიტიკური სიბრძნის დიქტატის მიხედვით. მათთვის გზის გაგნების მთავარი საშუალება ეროვნული ინტერესების კონცეფციაა.
3. პირადი ინტერესები არის ადამიანური არსების გამომხატველი ფაქტი. ყველა ადამიანის პირადი ინტერესების მინიმუმი არის თვითგადარჩენა და უსაფრთხოება. პოლიტიკა არის არენა, სადაც ეს ინტერესები გამოიხატება და ეს ინტერესები აუცოლებლად ერთმანეთ შეეჯახება, რაც ადრე თუ გვიან გამოიწვევს კონფლიქტს. საერთაშორისო პოლიტიკა ასევე არის

სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების არენა. სახელმწიფოთა ინტერესები კი იცვლება დროში და გარემოში. რეალიზმის არის დოქტრინა, რომელიც რეაგირებას ახდენს ცვალებად პილიტუკურ რეალობაზე.

4. საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკა არის პოლიტიკური და სიტუაციაური ეთიკა, რაც ძალზედ განსხვავდება პირადი მორალისაგან. პოლიტიკურ ლიდერს არ აქვს თავისუფლება მოიქცეს მორალურ პრონციპებზე დაყრდნობით რიგითი მოქალაქისგან განსხვავევით, რადგან იგი პასუხისმგებელია ხალხის წინაშე და მის ხელშია მათი უსაფრთხოება და კეთილდღეობა. შესაძლებელი შედეგებიდან ყველაზე მომგებიანის შერჩევა პოლიტიკოსის უმაღლესი მიღწევაა.
5. რეალიზმის მიიჩნევს რომ, არც ერთი ერის და სახელმწიფოს ზნეობრივი მიზნები არ შეიძლება მივიჩნიოთ საყოველთაო ზნეობრივ კანონებად (თვით ისეთი დემოკრატიული ერისაც კი, როგორიც არის აშშ) და არ შეიძლება ისინი ძალიას გამოყენებით დაკისრებული იქნეს სხვა სახემლწიფოზე. რეალისტები გამოდიან ამის საწინააღმდეგოდ, რადგან ეს საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას. შესაძლებელია, რომ რაღაც მომენტში საძით დაკიდრეულმა იდეოლოგიამ საპირისპირო შედეგი გამოიღოს და თვით „ჯვაროსან“ ქვეყანას საფრთხე შეუქმნას.
6. პოლიტიკოსის უმაღლესი ზნეობა და მორალი არის მისი ქვეყნის ინტერესები.[3]

აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ რომ სპორტი არაა დამოუკიდებელი მოვლენა, ის წარმოადგენს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს და შესაბამიასად ხშირ შემთხვევაში ერთგვარ იარაღს საერთაშორისო

---

[3] აკობია, ე. (2006). *საერთშორისო ურთიერთობების თეორია.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

დონეზე. ქვეყნები იყენებს ყველა შესაძლებლობას და გავლენას რადგან სახელმწიფოს ინტერესები გაატარონ ყველა ასპარესზე. ხშირად სწორედ სახემწიფოს პირველი პირები ესწრებიან მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებებს და ხშირად არაიან პირადად ჩართულები ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში. ამის ნათელი მაგალითია რუსეთის პრეზინდენტი ვლადიმერ პუტინი, რომელიც ქვეყნის ძიუდოს ნაკრების საპატიო პრეზინდენტი გახლდათ.

თავი 2

არასუვერენული სახელმწიფოების მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში

2.1

კოსოვოს პრეცედენტი

კოსოვოს სახელმწიფო აღიარებულია 111 გაეროს წევრი ქვეყნის მიერ.[4] სახელმწიფო მდებარეობს სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ტერიტორია : 10.9 ათასი კვადრატული კილომეტრი. მოსახლეობა: 1,9 მილიონი, დედაქალაქი : პრიშტინა (207 062) .[5] ქვეყნის ძირითად მოსახლეობას ალბანელები წარმოადგენენ (94,5 %) . და როგორც ცნობილია, კოსოვო ყოფილი იუგოსლავიის ნაწილი იყო და კონფლიქტიც სწორედ 90-ანი წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ დაიწყო სერბებსა და ალბანელებს შორის. შესაბამისად დადგა კიდეც ქვეყნის ცალკე გამოყოფის საკითხიც. რადგან სპორტიც ქვეყნის ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, პროცესი სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად ამ დროიდან დაიწყო. აღიარებიდან დღემდე , ანუ 2008 წლიდან დღემდე, კოსოვო არის 25 -მდე საერთაშორისო სპორტული ფედერაციის სრული წევრი. ასევე ათამდე საერთაშორისო სპორტული ფედერაციაში მიმდინარეობს წევრად მიღების

---

4 BE IN KOSOVO. (n.d.). *Countries that have recognized Kosovo as an independent state*. Retrieved from http://www.beinkosovo.com: http://www.beinkosovo.com/countries-that-have-recognized-kosovo-as-an-independent-state/

5 The World Factbook. (n.d.). *Europe - Kosovo*. Retrieved from https://www.cia.gov: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/kv.html

პროცესი. კოსოვო არის წევრი ისეთი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციებისა როგორიცაა: ფიფა (FIFA - Fédération Internationale de Football Association) , ფიბა (FIBA - International Basketball Federation), იჯფ (IJF - International Judo Federation), იოც (IOC - International Olympic Committee). კოსოვო არის თითქმის ყველა სახეობის სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ნამდვილი და სრული წევრი.

ამ ქეისში ჩვენ ვეცდებით განვიხილოთ კოსოვოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების გაწევრიანების გზა და პროცედურები მსოფლიოს სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებში. ასევე შევეხებით მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპორტული ორგანიზაციის, საერთაშორიოს ოლიმპიური კომიტეტში გაწევრიანების პროცესსაც. კოსოვოს მაგალითით განვიხილავთ თუ რატომ მოხდა ნახევრად აღიარებული სახელმწიფოს მიღება საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. როგორ მოხდა? რა პროცედურები და რეგულაციები არსებობს ამ მიმართულებით?

კოსოვოში, როგორც ევროპის უმეტეს ქვეყანაში, ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა არის ფეხბურთი. სადაც პირველი საფეხბურთო კლუბებისა და გაერთიანებების ჩამოყალიბება გასული საუკუნის 10-იან -20-იან წლებში იწყება, როდესაც პირველი კოსოვური საფეხბურთო კლუბები გამოჩნდნენ , გიაკოვა (Gjiakova) და პრიშტინა (Prishtina) . პირველი პროფესიონალური საფეხბურთო კლუბები კი კოსოვოში 1946 წლიდან ჩანან, რომლებიც რა თქმა უნდა იუგოსლავიის რესპუბლიკის ჩემპიონატში გამოდიოდნენ 1991 წლამდე. ამის შემდეგ კოსოვოს გუნდებსა და ფეხბურთელებს აეკრძალათ იუგოსლავიის ჩემპიონატში გამოსვლა.[6] ამის შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი პროცესი ჯერ

---

6 UEFA. (n.d.). *Kosovo Relishing the future*. Retrieved from http://www.uefa.com: http://www.uefa.com/insideuefa/member-associations/association=kos/index.html

ქვეყნად აღიარებისა და შემდეგ სპორტულ ორგანიზაციებში გაწევრიანებისა. 2008 წლის თებერვალში კოსოვო სახელმწიფომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და გამოეყო სერბეთს, მიუხედავად სერბული სახელმწიფოს უდიდესი წინააღმდეგობისა.

ფიფამ კოსოვოს ოფიციალური მატჩის ჩატარების უფლება 2014 წელს მისცა, როდესაც კოსოვოს ეროვნული გუნდი ჰაიტის დაუპირისპირდა. მატჩის ორგანიზება კოსოვოს ფეხბურთის ფედერაციამ აიღო თავის თავზე და მატჩიც, 2014 წლის 5 მარტს შედგა. მატჩს ძალიან დიდი მნიშვნელობა ქონდა კოსოვოსთვის საფეხბურთო თვალსაზრისით. რადგან, ნაწილობრივი აღიარება ყოველთვის ბლოკავდა მას საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისგან, რისი მთავარი მიზეზიც სერბეთის რესპუბლიკა იყო. თუმცა ფიფამ ამ შემთხვევას განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა და მატჩიც შედგა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: იმ დროს გამოძახებულ ფეხბურთელებს შორის იყვნენ, ოთხი ისეთი ფეხბურთელი, რომლებიც ამ მატჩამდე იყვნენ სხვადასხვა ევროპული საფეხბურთო ნაკრებების წევრები და ამ ქვეყნების მოქალაქეები. ესენი იყვნენ, სამირ უიკანი , რომელიც ამ დრომდე ალბანეთის საფეხბურთო ნაკრებში გამოდიოდა, ლუმ რექსეპი, ფინეთის ასაკობრივი და მთავრი საფეხბურთო ნაკრების წევრი. არდიან გაში (ნორვეგია) და ალბერტ ბუნიაკუ (შვეიცარია) . ამ ფეხბურთელებმა კოსოვოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების სასარგებლოდ შეიცვალეს მოქალაქეობა და დღემდე ასპარეზობენ ეროვნულ ნაკრებში. მათ ფიფამ და უეფამ მისცა ერთჯერადი უნიკალური შანსი, რომ შეეცვალათ მოქალაქეობა, ამ შემთხვევის პრეცდენტიდან გამომდინარე, თუ ეს იქნებოდა სურვილი ამ ფეხბურთელების. კოსოვოს ეროვნული ნაკრების მატჩი კი, სადაც ამ ფეხბურთელებთან ერთად სხვა კოსოვოელი სპორტსმენები იცავდნენ გუნდის ღირსებას, ფრედ, 0:0 გასრულდა.

ორი წლის შემდეგ, 2016 წლის მაისში, ფიფამ და უეფამ უკვე ოფიციალურად მიიღეს კოსოვო ფედერაციის სრულ და ნამდვილ წევრად.

თუ როგორ ხდება ფიფა-ს ორგანიზაციაში მიღება წესები და რეგულაციები აღწერიალია ამ წესდებაში[7] , სადაც რეალურად არც არის მინიშნებული იმის შესახებ უნდა იყოს თუ არა დამოუკიდებელი სუბიექტი. თუმცა არის ჩანაწერი რომ აპლიკანტი ტერიტორია თუ ქვეყანა უნდა უზრუნველყოფდეს ან აკმაყოფილებდეს სპორტულ ინფრასტრუქტურის დონესა და ეს ყველაფერი უნდა განთავსებული იყოს მის ტერიტორიაზე. გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ კი ფიფას საბჭო შემდეგ კონგრესზე მიიღებს გადაწყვეტილებას დააკმაყოფილოს თუ არა აპლიკანტის მოთხოვნა. ასევე საჭიროა მინიმუმ ერთი ვიზიტის მოწყობა ფიფას მხრიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე და ყველაფრის ადგილზე შემოწმება , ანგარიშის გაკეთება.

ფიფამ ეს შემოწმება ჩაატარა და მიიღო კიდეც გადაწყვეტილება კოსვოს ნახევრადაღიარებული სახელმწიფოს სასარგებლოდ და სერბეთის რესპუბლიკის წინააღმდეგობა სრულიად უძლური აღმოჩნდა ამის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა რომ, სერბეთის ყველა სამთავრობო უწყება ჩართული იყო ამ საკითხებში და ბლოკავდა გარკვეულწილად კოსოვოს გაწერვიანების ყველა მცდელობას. მას შემდეგ რაც , 2016 წლის მაისში, უეფამ კოსოვო მიიღო ორგანიზაციის წევრად, სადაც 28 მომხრე იყო და 24 წინააღმდეგი, სერბეთის მხრიდან გაკეთდა განცხადებები, რომ: „ ეს სულაც არაა დასასრული ჩვენი ბრძოლის. რადგან მიღება უეფაში, ეს არ ნიშნავს კოსოვოს დამოუკიდებლობას და ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას, ნებისმიერ შემთხვევაში. რადგან ეს შესაძლოა გახდეს

---

7 FIFA (Federation Internationale de Fotball Fedration). (n.d.). *Regulations Governing the admission of Associations to FIFA.* Retrieved from https://resources.fifa.com: https://resources.fifa.com/mm/document/tournament/competition/01/11/80/00/regulationsgoverningtheadmissionofassociationstofifa_efsd_neutral.pdf

რეგიონში დესტაბილიზაციის მიზეზი და არა მხოლოდ რეგიონში. ასეთი პრეცედენტი არ უნდა შეექმნა უეფას და ფიფას“ - განაცხადა სერბეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ტომისლავ კარაჯიჩმა .[8] თუმცა ფაქტი ერთია, რომ ამის შემდეგ ფიფამ დართო ნება კოსოვოს, მიეღო მონაწილეობა 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ გათამაშებაში, სადაც მასთან ერთად ჯგუფში მოხვდნენ: ისლანდია, ხორვატია, უკრაინა , თურქეთი და ფინეთი. კოსოვოსთვის პირველი მონაწილეობა წარუმატებელი აღმოჩნდა საფეხბურთო თვალსაზრისით, რადგან ჯგუფში ყველა თამაში წააგო ერთის გარდა, რომელიც ფრედ დაასრულა ფინეთის ეროვნულ გუნდთან გასვლით შეხვედრაში. ხოლო აღიარების პოლიტიკის თვალსაზრისით, ეს იყო დიდი ნაბიჯი და გამარჯვება, რადგან რეგიონში, ფაქტია რომ, არის ახალი რეალობა, სადაც ახალი საზრვრები და კონტურები იკვეთება. მიუხედავად იმისა , რომ სერბეთის რესპუბლიკა ამ ტერიტორიას ისევ საკუთარ საზღვრებს მიაკუთვნებს და შესაბამისად არც მის მონაწილეობას მიიჩნევს კანონიერად ნებისმიერ ოფიციალურ დონეზე. ასეთ შემთხვევებში ფიფას და უეფას აქვთ გარკვეული შემაკავებელი პუნქტი, რაც გულისხმობს, რომ დაპირისპირებულ ქვეყნებს არ ახვედრებს ერთ ჯგუფში რათა თავიდან აიცილოს დაპირისპირება ეთონსებს შორის. თუმცა ვიდეო, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ მითითებულ ბმულზე, ასახავს სერბეთი-ალბანეთის საფეხბურთო დაპირისპირებას, როდესაც სერბეთი და ალბანეთი ერთ ჯგუფში მოხვდნენ. პირველი შეხვედრა კი სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში უნდა გამართულიყო 2014 წლის ოქტომბერში. მატჩი 42 წუთზე შეწყდა და დაიწყო დაპირისპირება. გულშემატკივარი კი მოედანზე სკამებსა და სხვადასხვა ნივთებს ესროდა ალბაენთის ეროვნული ნაკრების

---

[8] Montague, J. (2016, May 3). *UEFA's Recognition of Kosovo Angers Serbs*. Retrieved from https://www.nytimes.com: https://www.nytimes.com/2016/05/04/sports/soccer/uefa-recognizes-kosovo-paving-way-for-fifa-membership.html

ფეხბურთელებს. კონფლიქტი ჩხუბში გადაიზარდა და მატჩის სეწყვეტის გადაწყვეტილებაც მიიღეს სამსაჯო კომიტეტმა და უეფას დამსწრე დელეგაციამ. სერბეთს შეხვედრაში ტექნიკური წაგება 0:3 ჩაუთვალეს და სხვა ჯარიმები დააკისრეს სერბეთის ფეხბურთის ფედერაციას. ამის შემდეგ წარმოუდგენელია ამ ორ ეთნოსს შორის რაიმე სპორტული თუ სხვაგვარი კავშირი შედგეს. ამიტომაც მსოფლიო სპორტული ორგანიზაციები ცდილობენ რომ მაქსიმალურად აარიდონ ერთმანეთს ასეთი ნაკრებები, ხოლო თუ რაიმე შეჯიბრებაზე მოხდა მათი დაპირისპირება, ნეიტრალურ ტერიტორიაზე უნდა შედგეს. ქვემოთ მოცემული ვიდეო ლინკი კარგად ასახავს სერბეთი- ალბანეთის დაპირისპირების დროს მომხდარ ინციდენტებს, 2014 წლის 14 ოქტომბერს.[9] ამის კიდევ ერთი მაგალითია, აზერბაიჯანი და სომხეთი, რომლებიც ფიფასა და უეფას გადაწყვეტილებით ვერასდროს ითამაშებენ ერთ შესარჩევ ჯგუფში. ასევე არასდროს ხვდებიან ერთმანეთს სომხური და აზერბაიჯანული საფეხბურთო გუნდები საკვალიფიკაციო ეტაპებზე. და თუ მაინც მოხდა რაიმე სახით მათი შეხვედრა (რაიმე ჩემპიონატის ფინალი მაგალითად, რაც ჯერჯერობით წარმოუდგენელია) ეს მოხდება ნეიტრალურ სტადიონზე.

---

9 YouTube. (2014, October 18). *Serbia VS Albania/ Full Report/ Video Source*. Retrieved from https://www.youtube.com: https://www.youtube.com/watch?v=KUavsrRUf-c

2.2

ეგრედწოდებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სწრაფვა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში

კოსოვოს სპორტულ ორგანიზაციებში გაწევრიანებამდეც და მას შემდეგაც, საკმაოდ დიდი იყო სურვილი საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მხრიდან, რომ გაწევრიანებულიყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. თუმცა ამ მაგალითის მიხედვით მათ უფრო და უფრო გაამძაფრეს სწრაფვა. ეგრედწოდებული აფხაზეთის სპორტულ ფედერაციაში აცხადებენ, რომ „ფიფას არ აქვს არგუმენტი , თუ რატომ მიიღო კოსოვო საკუთარ რიგებში, ხოლო ჩვენ არა.“ - ეს განცხადება ეკუთვნის აფხაზეთის ეგრედწოდებული ფეხბურთის ფედერაციის ამჟამად უკვე ყოფილ პრეზიდენტს, რუსლან აჯინჯალს.[10] მან ეს განცხადება კოსოვოს გაწევრიანების შემდეგ, 2016 წლის მაისში გააკეთა. იმ დროს ეგრედწოდებულმა აფხაზეთმა განაცხადიც კი შეიტანა ფიფასა და უეფას წევრობაზე.

10

Democracy and Freedom Watch. (2016, June 6). *კოსოვოს გაწევრიანების შემდეგ, ფიფა-ს წევრობაზე აფხაზეთიც მიმართავს.* Retrieved from http://dfwatch.net: http://dfwatch.net/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94-42999

ამ განცხადების შეტანის წინაპირობა გახდა კოსოვოს მიღება ჯერ ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირში (UEFA) 3 მაისს, შემდეგ კი 14 მაისს – FIFA-ში. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რუსლან აჯინჯალმა sputnik-abkhazia-სთან საუბარში ჯერ კიდევ 5 მაისს, სანამ კოსოვოს მიღებაზე FIFA-ს გადაწყვეტილება გახდებოდა ცნობილი, დაანონსა, რომ თუ FIFA კოსოვოს მიიღებდა, მას განაცხადით აფხაზეთიც მიმართავდა.[11]

„მიმართვას წინ არაფერი უდგას, მაგრამ აფხაზეთს არანაირი შანსი არ აქვს. მითუმეტეს, რომ ფიფა საკმაოდ კონსერვატიული ორგანიზაციაა და წევრებს იოლად არ იღებს. მეტიც, ვფიქრობ, რომ ამ საკითხს საერთოდ არც კი განიხილავენ. რაც შეეხება კოსოვოს წევრობას – კოსოვო აღიარებულია მსოფლიოსა და ევროკავშირის არაერთი ქვეყნის მიერ. სწორედ ამიტომ მისცეს უეფა-ს და ფიფა-ს წევრობაც," – აღნიშნა DFWatch-თან საუბრისას სპორტული ვებ-გვერდის Mysport.ge-ის საფეხბურთო მიმომხილველმა ლაშა თაბაგარმა.

FIFA-ში აფხაზეთის გაწევრიანების შესახებ ასევე ასევე 31 მაისს სოხუმში 12 არაღიარებულ ქვეყანას შორის ფეხბურთის ე.წ. მსოფლიო ჩემპიონატზე – CONIFA, ჩასულმა ფიფას წარმომადგენლებმა, მატჩ-აგენტებმა – FIFA-ს შვედმა აგენტმა დაგ ლარსონმა და შვედეთში ფედერაციის მატჩ-აგენტმა სერგეი აზიზოვმა.

მათი შეფასებით, CONIFA-ს ტურნირს, რომელიც 28 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით გაიმართა და რომელიც აფხაზეთის საფეხბურთო გუნდის გამარჯვებით

---

11 Democracy and Freedom Watch. (2016, June 6). *კოსოვოს გაწევრიანების შემდეგ, ფიფა-ს წევრობაზე აფხაზეთიც მიმართავს.* Retrieved from http://dfwatch.net: http://dfwatch.net/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94-42999

დასრულდა: ჩემპიონატის ჩატარება კარგი განაცხადია იმისათვის, რომ აფხაზეთის მისწრაფებამ ფიფა-ში გაწევრიანებისკენ მხარდაჭერა ჰპოვოს.

„ჩემი აზრით, აფხაზეთი სავსებით იმსახურებს იმას, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრი გახდეს, რამდენადაც აქვს თავისი მიწა, ხელისუფლება, ენა და, რაც მთავარია, – კარგი ფეხბურთი. აფხაზეთში ხალხს უყვარს ფეხბურთი, აქ არაერთი ლეგენდარული ფეხბურთელი აღზრდილა," – განაცხადა მაშინ აზიზოვმა.

როგორც DFWatch-ს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უთხრეს, საქართველომ ფიფა-ს მისი წარმომადგენლების განცხადებებსა და აფხაზეთში ჩასვლაზე რეაგირების მოთხოვნით უკვე მიმართა. მათივე ცნობით, ეს არ არის FIFA-ს პოზიცია.

„ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით FIFA-სთან კომუნიკაცია გვაქვს და მათი პოზიცია უცვლელია. ეს ე.წ. მსოფლიო ჩემპიონატი, რაც აფხაზეთში გაიმართა, მათი აღიარების გარეშე მიმდინარეობს და ეს შეჯიბრი ვერც ფიფა-ს და ვერც უეფა-ს პატრონაჟით ვერ იქნება ჩატარებული. რაც შეეხება კონკრეტულ პიროვნებებს, ესენი უბრალოდ ფიფაში დარეგისტრირებული მატჩის აგენტები არიან. ისინი ვერანაირად ვერ იქნებიან ფიფა-ს ოფიციალური წარმომადგენლები. შესაბამისად, ვერც შვედი ლარსონის და ვერც რუსი აზიზოვის პოზიცია ვერ იქნება ფიფა-ს ოფიციალური პოზიცია," – განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა.[12]

12

Democracy and Freedom Watch. (2016, June 6). *კოსოვოს გაწევრიანების შემდეგ, ფიფა-ს წევრობაზე აფხაზეთიც მიმართავს.* Retrieved from http://dfwatch.net: http://dfwatch.net/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94-42999

თუმცა არის განსხვავებები, რაც განასხვავებს კოსოვოსა და საქრთველოს სეპარატისტულ რეგიონებს. კოსოვო, როგორც მოგეხსენებათ , სერბეთის ნაწილი იყო, ხოლო სისხლიანი ომის შედეგად 90-იანი წლების ბოლოდან დე ფაქტო დამოუკიდებლობა მოიპოვა, 2008 წლიდან კი დე იურეც. საერთაშორისო საზოგადოებამ მიიჩნია, რომ სერბეთი ამ რეგიონში, სადაც მეტწილად ალბანელები სახლობდნენ, ეთნიკურ წმენდას ახორციელებდა. მაშინ ნატომ სერბეთს ომიც გამოუცხადა, რასაც რამდენიმეკვირიანი დაბომბვა მოჰყვა.

ახლა კოსოვოს სუვერენიტეტს 100-მდე ქვეყანა ცნობს. კოსოვოს დამოუკიდებლობას არ აღიარებს ევროკავშირის 5 წევრი, მათ შორის საბერძნეთი და ესპანეთი. ესპანეთს თავად აქვს სეპარატიზმთან პრობლემები, საბერძნეთი კი მართლმადიდებელი ქვეყანაა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბალკანეთის ომებში სერბებს თანაუგრძნობდა. გასაგები მიზეზით კოსოვოს სუვერენიტეტს არ სცნობს საქართველოც.

შეგახსენებთ იმასაც, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა გაეროს 4-მა წევრმა ქვეყანამ – რუსეთმა, ნიკარაგუამ, ნაურუმ და ვენესუელამ აღიარეს. ამ ბოლო დროს კი, სულ რაღაც რამდენიმე კვირის წინ, სირიის არაბულმა სახელმწიფომაც სცნო დამოუკიდებელ რესპუბლიკებად საქართველოს ეს ორი რეგიონი. თუმცა , რა თქმა უნდა აქაც შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მოხდა ეს და თან რუსეთის ფედერაციის უხეში ჩარევით. აღიარებიდანვე მეორე დღეს, საქართველომ გაწყვიტა ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობები სირიასთან, ხოლო მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებმა კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხრდამჭერი განცხადებები გაავრცელეს და დაგმეს აღნიშნული ფაქტი.

მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობისა და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების აფხაზების პოზიცია კი უცვლელია. „ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა და ვალდებულები ვართ მივწეროთ და თვალში

მოვხვდეთ.“ - ეს განცხადება უკვე 2017 წელს არის გაკეთებული ეგრედწოდებული აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტის ჯუმა კვარაცხელიას მიერ. მათ სპორტულ ორგანიზაციებში, ფიფასა და უეფაში გაწევრიანებაზე განცხადება მეორედ შეიტანეს და ბედი კიდევ ერთხელ სცადეს. მიხედავად გრძელი და ძნელი გზისა, აფხაზეთი აუცილებლად გახდება საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების წევრი. ასეთ ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებენ ეგრედწოდებული აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში.

მიხედავად იმისა რომ არც ფიფა, არც უეფა, არც ოლიმპიური კომიტეტი და არც არცერთი საერთაშორისო ოფიციალური მსოფლიო სპორტული ორგანიზაციები არ ცნობენ და არც საკუთარ რიგებში არ იღებენ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს, დროდადრო ალბათ მაინც მართლა ხვდებათ ხოლმე თვალში ეს სუბიექტები. მაგალითად, მიმდინარე წლის აპრილში იყო ასეთი შემთხვევა, როცა 2018 წლის რუსეთის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ ქვეყნების შესახებ დაიდო ინფორმაცია. სადაც რუსეთი იყო მინიშნებული როგორც მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ყველაზე დიდი ქვეყანა. ასევე ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია – ფიფა-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთი 18 სახელმწიფოს ესაზღვრებოდა .

გეოგრაფიულად კი რუსეთი 16 ქვეყანას ესაზღვრება, აქედან 14-თან რუსეთს აქვს სახმელეთო საზღვარი, ორთან კი (აშშ, იაპონია) საზღვაო.

აქედან გამომდინარე, დიდი ალბათობით, ფიფა-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მონაცემებში ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთიც იყო ნაგულისხმევი.[13] (***დანართი: იხილეთ სურათი #1***) აღნიშნული ინფორმაცია

13

მალევე გასწორდა ფიფას ოფიციალურ საიტზე, მას შემდეგ, რაც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრეს სამსახურმა ოფიციალური მიმართვა გააგზავნა ორგანიზაციაში. ფიფაში არანაირი განმარტება არ გაუკეთებიათ ამასთან დაკავშირებით, თუმცა ინფორმაცია გასწორდა და ამჟამად რუსეთის სესახებ სწორი ინფორმაციაა დატანილი, რომ გეოგრაფიულად რუსეთი 16 ქვეყანას ესაზღვრება, აქედან 14-თან რუსეთს აქვს სახმელეთო საზღვარი, ორთან კი (აშშ, იაპონია) საზღვაო.[14] (***დანართი: იხილეთ სურათი #2***)

კიდევ ერთი ფაქტი რაც კავშირშია ფეხბურთთან და წელს გასამართ მსოფლიო ჩემპიონატთან: ოსური მედიის ცნობით, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მოქალაქეები 2018 წლის ფეხბურთის ჩემპიონატის ბილეთებს ონლაინ რეჟიმში ვერ ყიდულობენ.

როგორც დე ფაქტო რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის კომიტეტის ხელმძღვანელი სერგეი ზასეევი აცხადებს, აღნიშნული სიტუაციიდან მაინც არსებობს გამოსავალი.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი. (2018, April 22). *ფიფა-ს ოფიციალურ გვერდზე რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოთა შორის სავარაუდოდ, ე.წ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც არის ნაგულისხმევი.* Retrieved from https://1tv.ge: https://1tv.ge/news/fifa-s-oficialur-gverdze-rusetis-mosazghvre-sakhelmwifota-shoris-savaraudod-afkhazeti-da-e-w-samkhret-osetic-aris-naguliskhmevi/

[14]

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი. (2018, April 20). *ფიფა-ს ვებგვერდიდან რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, სადაც სავარაუდოდ ე.წ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც იგულისხმებოდა უკვე აღებულია.* Retrieved from https://1tv.ge: https://1tv.ge/news/fifa-s-vebgverdidan-rusetis-mosazghvre-qveynebis-raodenobis-shesakheb-informacia-sadac-savaraudod-afkhazeti-da-e-w-samkhret-osetic-iguliskhmeboda-ukve-aghebulia/

“ფიფას მიზანია მთელ პლანეტაზე ფეხბურთის განვითარება, სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია, ხელმისაწვდომობა, მსოფლიო მასშტაბით შეჯიბრებებზე გულშემატკივრობა, და რას ვიღებთ? – ორგანიზაცია ბილეთების გაყიდვას ბლოკავს. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებითვის არსებობს გამოსავალი. რესპუბლიკის მოსახლეობის 90%-ს ოსური მოქალაქეობის გარდა, რუსეთის მოქალაქეობაც აქვს. უნდა გამოვიყენოთ ეს და ბილეთები რუსეთის მოქალაქის მონაცემებით შევიძინოთ”.

მისივე ცნობით, ანალოგიურ სიტუაციაში არიან მოქალაქეები აფხაზეთსა და ყირიმში.

2.3

რა არის ConIFA?

ხოლო ქვეყნებს , რომლებსაც არ აქვთ არანაირი აღიარება ან დაბლოკილნი არიან სხვადასხვა პოლიტიკური თუ სხვა მიზეზებით , აქვთ ჩამოყალიბებული ორგანიზაცია ConIFA (Confederation of Independent Football Associations) რომელიც არ არის დამოკიდებული ფიფაზე და არც არცერთ საერთაშორისოდ აღიარებულ ორგანიზაციასა თუ სტრუქტურაზე. აქვთ საკუთარი ჩემპიონატი, ასევე ეგრედ წოდებული Ranking , სადაც აფხაზეთი მე-8 ადგილს იკავებს (. სულ კი ორგანიზაცია მათ ეგრედ წოდებულ ოფიციალურ საიტზე დაყრდნობით 47 წევრს ითვლის. მათ შორის არიან მთიანი ყარაბაღი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ჩრ. კვიპროსი, ზანზიბარი, ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა, და ბევრი სხვა საინტერესო ექსტრემისტული თუ სეპარატისტული მოძრაობა.[15] თუ გადავხედავთ მსოფლიო რუკას, ასეთი სუბიექტების რაოდენობა უფრო ჭარბობს ევროპის კონტინენტზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიის რეგიონში. მაგალითად მთლიანად ევროპაში 24 ასეთი სუბიექტია. აზიას 10 წარმომადგენელი ჰყავს. აფრიკას - 9. ჩრდილოეთ ამერიკა და ოკეანეთი 2-2 წარმომადგენელით არიან. ხოლო სამხრეთ ამერიკაში ისეთი სუბიექტი, რომელიც ამ ორგანიზაციის წევრი იქნება, არ არსებობს.

მეტიც, 2018 წლის 31 მაისიდან 9 ივნისის ჩათვლით, ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ამ სუბიექტებს შორის, ლონდონში, დიდ ბრიტანეთში. სადაც ასევე მონაწილეობა მიიღო აფხაზეთმაც. ჩემპიონი გახდა ჩრდილო კვიპროსის ეროვნული გუნდი, რომელმაც ფინალში ეგრედწოდებული „კარპატალია“,

---

15 ConIFA. (n.d.). *ConIFA Members*. Retrieved from http://www.conifa.org: http://www.conifa.org/en/members/

(დასავლეთ უკრაინაში უნგრელების გაერთიანება) დაამარცხა. ხოლო აფხაზეთმა კი ჯგუფურ ეტაპზე, მესამე ადგილი დაიკავა და მე-9 ადგილისათვის ბრძოლაში ეგრედწოდებული „ქაბულია“ (კიდევ ერთი სეპარატისტული მოძრაობა ალჟირში, ჩრდილოეთ აფრიკა) დაამარცხა 2:0 . უნდა აღინისნოს ისიც, რომ ეგრედწოდებული აფხაზეთი ჯგუფში სწორედ ფინალისტებთან ერთად, ჩრდილო კვიპროსთან და კარპატალიასტან ერტად გამოდიოდა.[16]

CONIFA სეპარატისტული რეგიონებისა და არაღიარებული ქვეყნების საფეხბურთო გაერთიანება, მათი "ფიფაა" და ერთგვარი ოცნების ზონა, სადაც ერთმანეთში ტურნირებს ატარებენ და ამას თავადვე "მსოფლიოსა" და "ევროპის ჩემპიონატებს" უწოდებენ.

რეალურად, დამოუკიდებელი საფეხბურთო კონფედერაცია (CONIFA) არასამთავრობო ორგანიზაციაა. ის 2013 წელს, შვედეთის ქალაქ ლულეოში ჩამოყალიბდა, 2014 წლიდან კი მას ლაპლანდიელი პერ ანდერს ბლინდი ხელმძღვანელობს. 2014 წელს, შვედეთში "მსოფლიოს", ხოლო 2015 წელს უნგრეთში "ევროპის" ჩემპიონატი ჩაატარა. პირველ ე.წ. მსოფლიო ჩემპიონატზე 8 გუნდი მონაწილეობდა.

პირველი ტურნირი შვედეთის ისეთ რეგიონში ჩატარდა, რომელსაც ავტონომიაზე უფრო მაღალი მოთხოვნები აქვს და მასში სამხრეთ ოსეთის გუნდი მონაწილეობდა. ამგვარი ტურნირების დაბლოკვა შესაძლებელია იმით, რომ სახელმწიფოებმა ვიზები არ გასცენ ხოლმე, მაგრამ ამას ხან აკეთებენ, ხან - არა.

---

16 ConIFA. (n.d.). *ConIFA Football World Cup, 2018*. Retrieved from http://www.conifa.org: http://www.conifa.org/en/wfc-2018/

2015 წელს, უნგრეთის ქალაქ დებრეცენში ჩასასვლელად, საქართველოს საელჩოსა და ფეხბურთის ფედერაციის დიდი პროტესტისა თუ ჩარევის გამო "აფხაზეთის ნაკრების" წევრებს ვიზები არ მისცეს, ისევე, როგორც - "სამხრეთ ოსეთსა" და "ჩრდილოეთ კვიპროსს". ამ ფაქტმა სოხუმში დიდი აღშფოთება გამოიწვია და საქართველო "რესპუბლიკის" იზოლაციაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს.

აფხაზებმა CONIFA-სგან "მსოფლიო ჩემპიონატის" თავიანთ "რესპუბლიკაში" ჩატარება ამ ფაქტის შემდეგ მოითხოვეს. ასეც მოხდა - 2016 წელს, "მსოფლიო ჩემპიონატი" აფხაზეთში გაიმართა - 29 მაისს დაწყებულ ტურნირში 12 გუნდი მონაწილეობდა: მასპინძელი, ჩრდილოეთი კვიპროსი (კვიპროსის თურქული ნაწილი), ლაპლანდია (ფინეთი), პადანია (იტალია), სეკეის მხარე, ერაყის ქურთისტანი, სომალილენდი (აფრიკა), ჩაგოსის არქიპელაგი (კუნძული ინდოეთის ოკეანეში), პენჯაბი (ინდოეთი), ასევე იაპონიის კორეელები, რეტები და ბოშები.

არაღიარებული ქვეყნების ჩემპიონატს 16-მა არბიტრმა უმსაჯა, მათ შორის 6 - რუსეთიდან იყო. მატჩები სოხუმისა და გაგრის განახლებულ სტადიონებზე ჩატარდა, მაგრამ ორივეგან გუნდები ხელოვნურ საფარზე თამაშობდნენ.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის "მსოფლიოს" ჩემპიონი ნიცას საგრაფო და მეოთხეადგილოსანი "სამხრეთი ოსეთი" 2016 წლის ტურნირზე ვერ მოხვდნენ. 11 გუნდი იანვარში კენჭისყრით შეირჩა და მასპინძელი აფხაზეთი დაემატა.

ფინალური მატჩი 5 ივნისს სოხუმის "დინამოს" სტადიონზე ჩატარდა. დე-ფაქტო აფხაზეთის საფეხბურთო ნაკრები პენჯაბის გუნდს შეხვდა, უცნაური ანგარიშით - 7:6 დაამარცხა (?!) და CONIFA-ს ეგიდით მიმდინარე ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. ბრინჯაოს მფლობელი ჩრდილოეთი კვიპროსი გახდა,

რომელმაც პადანიას 2:0 სძლია

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ევროპისა და აზიის სეპარატისტული ქვეყნებიდან 1000-მდე სპორტსმენსა და მათ ქომაგებს უმასპინძლა. დიდი იმედიც ჰქონდათ, რომ ეს "ჩემპიონატი" საიმიჯოდ "რესპუბლიკისთვის" წარმატებული იქნებოდა და მის ცნობადობას გაზრდიდა.

საინტერესოა, რომ 2016 წლის აპრილში კურიოზული ინფორმაცია გამოაქვეყნეს: იქმნებოდა ყირიმის ნაკრები, რაზეც პრესასთან ყირიმის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა იური ვეტოხამ ილაპარაკა და აფხაზეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გეგმავდა...

მაგრამ ეტყობა, მერე მიხვდნენ, რომ რაღაც სისულელე გამოდიოდა. ყირიმის ნაკრები როგორ შეიქმნებოდა, როცა რუსეთმა მისი დამოუკიდებლობა კი არ აღიარა, არამედ შეიერთა და ისე გამოდიოდა, რომ რუსეთიდან გამოყოფის მსურველი ხალხის ნაკრები იქნებოდა.[17]

---

17 მამულაშვილი, მ. (2017, June 13). *ConIFA-ს ე.წ. ევროპის ჩემპიონატზე სეპარატისტები ერთმანეთს დაერივნენ.* Retrieved from https://sportall.ge: https://sportall.ge/fexburti/qarthuli-fekhburthi/skhvadaskhva/105192-conifa-s-ets-evropis-chempionatze-separatistebi-erthmaneths-daerivnen.html

2.4

ფარერის კუნძულები და გიბრალტარი

ფარერის კუნძულები: მდებარეობს ევროპის ჩრდილოეთით, ნორვეგიის ზღვასა და ატლანტის ოკეანეში. ტერიტორია: 1,4 ათასი კვადრატული კილომეტრი. მოსახლეობა : 50 730 (2016 წელი).[18] ფარერის კუნძულები ოფიციალურად ეკუთვნის დანიის სამეფოს. თუმცა არის თვითმმართველი ტერიტორია ფართო ავტონომიით.

გიბრალტარი: მდებარეობს პირენეის ნახევარკუნძულის სამხრეთით. მიეკუთვნება სამხრეთ დასავლეთ ევროპას. ერთადერთი სახმელეთო საზღვარი აქვს ესპანეთთან. ტერიტორია: 6,5 კვადრატული კილომეტრი. მოსახლეობა : 29 396 (2017)[19] გიბრალტარი ოფფიციალურად შედის გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში. (Overseas Territory of the United Kingdom), თუმცა არის თვითმმართველი სუბიექტი. მეთაური: დედოფალი ელიზაბეტ II .

გარდა კოსოვოსი, 13-14 მაისს ფიფას წევრად მიიღეს გიბრალტარიც. რომლის ტერიტორიული დავის გარკვეული საკითხები ინგლისურ - ესპანურ ურთიერთობებში კიდევ არსებობს. რადგან ესპანეთი 1713 წელს გამოყოფილი ტერიტორიის დაბრუნებას ითხოვს, თუმცა თავად გიბრალტარელებმა 2002 წლის რეფერენდუმზე ისევ ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ დარჩენა ისურვეს. გიბრალტარი უეფა-ს წევრად 2013 წელს მიიღეს. გიბრალტარის ფეხბურთის

18

The World Factbook. (n.d.). *Europe - Faroe Islands*. Retrieved from https://www.cia.gov: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/fo.html

19

The World Factbook. (n.d.). *Europe - Gibraltar*. Retrieved from https://www.cia.gov: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/gi.html

ფედერაციას რამდენიმე საერთაშორისო სასამართლო დავა დასჭირდა ამის მისაღწევად. პირველად გიბრალტარმა 2007 წელს სცადა მსოფლიო საფეხბურთო ორგანიზაციების წევრობა. თუმცა ესპანეთმა, რადგან ის თვლის რომ ამ ტერიტორიის საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია დიდ ბრიტანეთთან, დაბლოკა და მეტიც, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ საკუთარი ქვეყნის კლუბებს, რეალ მადრიდსა და ბარსელონას გამოსვლას სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებზე საფრთხე შეუქმნა. ამიტომ იმ დროს ფიფამ და უეფამ უკან დაიხიეს. როგორც ცნობილია ამ დრომდე ამ ორგანიზაციების წევრობა შეეძლოთ მხოლოდ გაეროს მიერ აღიარებულ წევრებს (მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეეძლოთ სხვა ტერიტორიებს გაწევრიენება, მაგალითად ფარერის კუნძულები, რადგან ეს თვითონ დანიის სამეფომ მისცა უფლება) , ხოლო სადაო შემთხვევებში კი ახალი რეგულაციით , გაეროს ყველა ქვეყნის მიერ აუღიარებელ ტერიტორიასაც შეუძლია გაწევრიანება, თუ ის აკმაყოფილებს სხვა მოთხოვნებს. როგორიცაა: რომ მას უნდა ჰქონდეს ყველა სპორტული აღჭურვილობა, ბაზა, სტადიონი საკუთარ ტერიტორიაზე. მას უნდა შეეძლოს უზრუნველყოს უსაფრთხოება და მატჩის თუ შეჯიბრების უმაღლეს დონეზე ჩატარება.[20]

გიბრალტარი ფიფასა და უეფას წევრი მაინც გახდა 2016 წლის მაისში. ფიფამ 2016 წლის მაისის კონგრესზე გიბრალტარი საკუთარ რიგებში 211-ე წევრად მიიღო. გიბრალტარის საფეხბურთო გუნდს 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში მონაწილეობის უფლებაც მიეცა, სადაც სქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად მოხვდა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჯერჯერობით გუნდი ნეხევრად სამოყვარულოა და შესარჩევშიც ყველა შეხვედრა წააგო.

---

[20] Montague, J. (2016, May 2). *Ruling Moves Gibraltar Closer to FIFA Membership*. Retrieved from https://www.nytimes.com: https://www.nytimes.com/2016/05/03/sports/soccer/ruling-moves-gibraltar-closer-to-fifa-membership.html

გაწევრიანებამდე გიბრალტარსაც საკმაოდ რთული გზა ქონდა, სასამართლოებით დახუნძლული. ბოლოს სამწლიანი სასამართლოს შემდეგ, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით ფიფას დაევალა ყველა საჭირო ზომის მიღება, რომ გიბრალტარი გამხდარიყო სრულუფლებიანი წევრი საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროსი. 2016 წლის მაისში მეხიკოს ყრილობაზე გიბრალტარის მიღებას 172 წევრმა გამოუცხადა თანხმობა, 205 შესაძლებელი ხმიდან. იგივე ყრილობაზე მიიღეს წევრად კოსოვოც, 210-ე წევრად, რომელსაც 141 ხმა ქონდა.[21]

ფარერის კუნძულებს არასდროს დაჭირვებია ConIFA-ს წევრობა და მის ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება. ფარერის კუნძულები უეფას წევრი 1990 წლიდანაა და ფიფას წევრი კი 1988 წლიდან. ფარერის კუნძულებს დანიის სამეფომ დართო ნება რომ გამხდარიყო საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი. დანიის სამეფო ასევე არ არის წინააღმდეგი რომ გრენლანდიაც შეუერთდეს მსოფლიო საფეხბურთო ოჯახს, თუმცა ამის წინააღმდეგი თვითონ ფიფა და უეფა არიან, რადგან წელიწადის უმეტეს დროს გრენლანდიის მიწა ყინულით არის დაფარული და შეჯიბრებების ჩასატარებლად არახელსაყრელი პირობებია. თუმცა გრენლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატი 1957 წლიდან, ყოველ წელს ტარდება და დღესდღეობით მასში 8 გუნდი მონაწილეობს. გრენლანდია ასევე არის ConIFA- ს წევრი. ფიფას დირექტივით, გრენლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ უნდა შექმნას მაქსიმალურად კომფორტული სპორტული გარემო საკუთარ ტერიტორიაზე და ამის შემდეგ მის გაწევრიანებას წინ ვერაფერი დაუდგება.

---

21 Radio Fortuna. (2016, May 14). *კოსოვო და გიბრალტარი ფიფა-ს წევრები გახდნენ.* Retrieved from http://fortuna.ge: http://fortuna.ge/kosovo-da-gibraltari-fifas-wevrebi-gakhdnen/

თავი 3

პოლიტიკის გავლენა სპორტზე

3.1

პოლიტიკური სპორტი

როგორც ვხედავთ, თუ კი ამა თუ იმ სახელმწიფოში, სამეფოში თუ სუვერენულ ტერიტორიაში შემავალი, რაიმე სუბიექტი გამოთქვამს საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში გაწევრიანების სურვილს, ხოლო, ამის წინააღმდეგი არ არის სუვერენული სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც არის ესა თუ ის სუბიექტი, ასეთ შემთხვევებში ძალიან ადვილად ხდება მათი მიღება სპორტულ ორგანიზაციებში. ხოლო თუ არის რაიმე პოლიტიკური კონფლიქტი, აზრთა სხვადასხვაობა, ეს პროცესი დროში საკმაოდ იწელება და ხშირ შემთხვევაში საერთოდ იბლოკება. საბოლოოდ ეს ყველაფერი, მიუხედავად ყველა საერთაშორისო წესდებისა, ქარტიისა თუ შეთანხმებისა. საბოლოოდ, მაინც ის პოლიტიკურად ძლიერი ძალა იმარჯვებს და ჰპოვებს აღიარებას, რომელიც აკონტროლებს და მართავს სიტუაციას. მიხედავად იმისა , რომ სპორტი აღიარებულია და უნდა იყოს კიდეც სიმშვიდის გარანტი, ნიშანი, მაგალითი მთელს მსოფლიოში, ხშირად დაპირისპირების მიზეზიც გამხდარა. მხოლოდ დაპირისპირება რა არის, ისტორიას შემორჩა ერთი შემთხვევა, როდესაც საფეხბურთო მატჩმა ორ ქვეყანას შორის ომიც კი გამოიწვია. ეს შემთხვევა 1970 წელს მოხდა ცენტრალურ ამერიკაში. ივნისში ეს ნაკრებები 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად ერთმანეთს ხვდებოდნენ პლეი ოფში. პირველი მატჩი ჰონდურასმა შინ 1:0 მოიგო, მეორეში კი სალვადორმა 3:0 იმარჯვა. თითქოს წაგება არ ეყოფოდათ, სტუმართა გულშემატკივრები სასტიკად სცემეს. ისე კი, არც ჰონდურასელებს გამოუჩენიათ დიდი სტუმართმოყვარეობა პირველ შეხვედრაში,

მაგრამ სალვადორელებმა ნამეტანი გააკეთეს... საპასუხოდ, ჰონდურასში სალვადორელ მაცხოვრებლებზე თავდასხმები დაიწყო, ორ ვიცე-კონსულსაც მოარტყეს. 1:0, 0:3 – ბურთების შეფარდებას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან წესდებით, გუნდები თუ მოგებებს გაცვლიდნენ, დამატებითი, მესამე მატჩი უნდა გამართულიყო. სალვადორმა 2:3 წააგო და ჰონდურასის მთავრობამ მათთან ყოველგვარი დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა. ეს უკვე სალვადორმა ვერ აიტანა და ომი დაიწყო. 14 ივლისს, მათ ჰონდურასის დაბომბვა დაიწყეს, მეორე დღეს კი ჯარი შეიყვანეს. სისხლისღვრა მხოლოდ 20 ივლისს შეწყდა და ისიც საერთაშორისო გზებით. ქვეყნებმა მხოლოდ 1979 წელს (ანუ, 10 წლის შემდეგ) მიაღწიეს მშვიდობიან ურთიერთობაზე შეთანხმებას. ექვსდღიანმა საფეხბურთო ომმა 3000-მდე ადამიანი შეიწირა, დაახლოებით 6000 კი მძიმედ დაშავდა.

კიდევ ერთი პოლიტიკური კონფლიქტის მაგალითი შეიძლება მოვიყავნოთ აქ. შემთხვევა 1990 წლის 13 მაისს მოხდა. ზაგრების "მაქსიმირზე", ადგილობრივი "დინამო" ბელგრადის "ცრვენა ზვეზდას" ეთამაშებოდა. მასობრივი ჩხუბი დაიწყო ჯერ ტრიბუნებზე, სადაც 85 ადამიანი მძიმედ დაშავდა. შემდეგ კი, ვნებათაღელვამ მინდორზე გადაინაცვალა და აქ მოხდა ერთი საგულისხმო ფაქტი: "დინამოს" 21 წლის ნახევარმცველმა ზვონიმირ ბობანმა სერბ პოლიციელს წიხლი უთავაზა, შემდეგ გაიქცა და მეორე პოლიციელსაც ჩაარტყა. საქმე ისაა, რომ იუგოსლავია ჯერ არ იყო დაშლილი, სიტუაციას სერბები განაგებდნენ, მათ ერთი ხორვატი გულშემატკივარი ძირს ჰყავდათ დაგდებული და ურტყამდნენ, რაც პატრიოტმა ბობანმა ვერ აიტანა.
ბობანი ბრწყინვალე ფეხბურთელად ჩამოყალიბდა, მაგრამ ლეგენდად, დიდწილად, სწორედ ამ საქციელის გამო დარჩა. მან იუგოსლავიის მთავრობის წინაღმდეგ გაილაშქრა.[22]

22

და რა თქმა უნდა სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ მომხდარი ფაქტიც არ უნდა დავივიწყოთ, რომელიც უახლეს სპორტულ ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან დაპირისპირებად შევიდა.

ტრაგიკულად დასრულდა ეგვიპტის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი “ალ-მასრი-სა” და “ალ-აჰლის” შორის, რომელიც მასპინძლებმა ანგარიშით 3:1 მოიგეს.
მატჩის შემდეგ ატეხილმა მასობრივმა არეულობამ 74 ადამანის სიცოცხლე შეიწირა. გაისმა თუ არა მსაჯის საფინალო სასტვენი, მინდორზე "ალ მასრის" ქომაგები გავარ-დნენ. თავიდან გულშემატკივრებმა შეტევა მიიტანეს "ალ აჰლის" ფეხბურთელებსა და მწვრთნელებზე. რამდენიმე მათგანი დაშავდა კიდეც. სტადიონის დაცვამ ფეხ-ბურთელების გაყვანა შეძლო, მაგრამ ამის შემდეგ "ალ მასრის" ფანებმა მეტოქე გუნ-დის გულშემატკივართან დაიწყეს ანგარიშსწორება. სტუმართა გუნდის ფანები ალ-ყაში აღმოჩნდნენ. ვინც სტადიონიდან გაქცევა მოახერხა, მას გარეთ გაუსწორდნენ. არაბულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქაიროს გუნდის გულშე-მატკივრი ("ალ აჰლი") მთელი მატჩის განმავლობაში გამომწვევი ფრაზებით აღიზი-ანებდა პორტ საიდის გუნდის ("ალ მასრის") ქომაგს.
მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა თამაში მოიგეს და თითქოს გულშემატკი-ვარს გაბრაზების მიზეზი არ უნდა ჰქონოდა, "ალ მასრის" ფანებმა მეტოქე გუნდის ქომაგთან ანგარიშსწორება მაინც მოინდომეს. სტადიონის დაცვა და თამაშზე მიყვა-ნილი სამართალდამცავები მოვლენების ასეთი განვითარებისთვის მზად არ აღმოჩ-ნდნენ. არსებობს სხვა ვერსიაც, რომელზეც ეგვიპტის პარლამენტის წევრმა, თავი-სუფლების პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ, ესამ ელ-ერიანმა ტელეკომპანია "ალ ჯაზირასთან" ისაუბრა: "ეს წინასწარ დაგეგმილი აქციაა. ძველი რეჟიმის ხრიკე-ბია".

ნანობაშვილი, ი. (2012, February 2). *უდიდესი საფეხბურთო ტრაგედიები - ომი, "ეიზელი", "ჰილსბორო"...* Retrieved from https://worldsport.ge: https://worldsport.ge/ge/page/udidesi-safexburto-tragediebi-omi-eizeli-hilsboro?media=normal

"ძველ რეჟიმად" ეგვიპტეში ჰოსნი მუბარაქის პარტიის ყოფილ წევრებს მოიხსენიე-ბენ.[23]

ეგვიპტის სასამართომ 21 ადამიანს, 2012 წელს ფეხბურთის მატჩის დროს მომხდარი ძალადობისთვის, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. 2012 წელს მომხდარ ინციდენტს 74 ადამიანი ემსხვერპლა. დაღუპულთა ნათესავები და მეგობრები განაჩენს სიხარულით შეხვდნენ. დარჩენილი 52 ეჭვმიტანილის ვერდიქტი მარტში გამოცხადება.

2012 წლის 1 თებერვალს "პორტ საიდის" და "ალ აჰლის" საფეხბურთო ნაკრებების ფანებს შორის მომხდარი შეტაკება, ფეხბურთის სამყაროში უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მომხდარი ყველაზე სისხლიანი დაპირისპირება იყო.[24]

კიდევ ერთი პოლიტიკური ამბავი გავიხსენოთ ფეხბურთის ისტორიიდან. რომელიც საბედნიეროდ სისხლით არ დასრულდა, თუმცა ერთ-ერთ უნცაურ საფეხბურთო მოვლენად შევიდა ისტორიაში.

მსოფლიში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა, ფეხბურთი, ადვილად იქცა მძლავრ სოციალურ მოვლენად და ამ მიზეზით, პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძინა. მეოცე საუკუნეში რამდენჯერმე მოხდა, როცა ფეხბურთმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში.

23

24 საათი. (2012, February 3). *საფეხბურთო ტრაგედიები*. Retrieved from http://24blog.ge: http://24blog.ge/news/story/24684-safekhburto-tragediebi

24

მედიაჰოლდინგი პალიტრა. (2013, January 27). *ეგვიპტის სასამართლომ საფეხბურთო მატჩზე მომხდარი არეულობის გამო 21 ადამიანს სიკვდილი მიუსაჯა*. Retrieved from https://www.palitravideo.ge: https://www.palitravideo.ge/yvela-video/msoflio/26377-egviptis-sasamarthlom-safekhburtho-matchze-momkhdari-areulobis-gamo-21-adamians-sikvdili-miusaja.html

მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის პლეი-ოფში ერთმანეთს საბჭოთა კავშირისა და ჩილეს ნაკრებები დაუპირისპირდნენ. პირველი შეხვედრა მოსკოვში ფრედ, 0-0 დასრულდა. განმეორებითი მატჩი სანტიაგოში უნდა გამართულიყო 21 ნოემბერს. 1973 წლის 11 ნოემბერს საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ მათი ნაკრები ჩილეში ოპოზიციის მიერ კომუნისტი მმართველის, სალვადორე ალიენდეს მთავრობის დამხობის გამო სანტიაგოში არ ითამაშებდა. ფიფამ საბჭოთა კავშირის ნაკრები დისკვალიფიკაციით დასაჯა. ეს იყო ისტორიაში პირველი ფაქტი, როცა ნაკრებმა მსოფლიო თასს ბოიკოტი გამოუცხადა პოლიტიკური მიზეზებით. საბჭოელთა განმარტებით, არ ითამაშებდნენ სტადიონზე, სადაც რევოლუციის მსვლელობისას ალიენდეს მომხრეები აწამეს და მოკლეს.

საბჭოთა კავშირი მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვას ითხოვდა. თუმცა ფიფა ამას არ დათანხმდა და საბჭოთა ნაკრები, რომელიც წინა ჩემპიონატზე, 1970 წელს მეოთხედფინალში გავიდა, ტურნირიდან მოიხსნა.
1973 წლის 21 ნოემბერს სანტიაგოს სტადიონე მაყურებელი მაინც გამოცხადდა. მოედანზე კი მხოლოდ ერთი გუნდი, ჩილეს ნაკრები იდგა. მსაჯმა მატჩის დაწყების ნიშნად ჩასტვინა. ჩილელებმა ბურთი გაათამაშეს და შეტევა წამოიწყეს, რომელიც გუნდის კაპიტნის გოლით დასრულდა. ეს იყო და, მსაჯმაც მატჩის დამთავრების ნიშნად ჩასტვინა.
ასე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ალბათ ყველაზე უცნაური მატჩი.
არსებობდა სარფთხე, რომ, სოციალისტური ბანაკის სხვა სახელმწიფოებიც შეერთებობდნენ ბოიკოტს, თუმცა გდრ-ს, ბულგარეთის და პოლონეთის ნაკრებებმა 1974 წლის მუნდიალზე მაინც იასპარეზეს. ეს უკანასკნელი სულაც მესამე ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა.

ეს არ ყოფილა ერთადერთი შემთვევა, როცა ცივმა ომმა სპორტულ არენაზე ჰპოვა გამოხატულება. 1979 წელს ავღანეთში საბჭოთა ჯარის ინტერვენციას ა.შ.შ.-სგან მოსკოვის 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტი მოჰყვა.[25]

ეს ოლიმპიადა ალბათ ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე პოლიტიკური იყო. საბჭოთა კავშირის დედაქალაქმა ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება 1974 წლის 23 ოქტომბერს მოიპოვა ვენაში გამართულ სოკის 74-ე სესიაზე, სადაც 39 ხმით 20-ის წინააღმდეგ დაამარცხა ერთადერთი კონკურენტი - ლოს-ანჯელესი. მთელი საბჭოთა კავშირი გაცხოველებულ სამზადისს შეუდგა. ყველაფერი თავისი წესით და რიგით მიდიოდა, მაგრამ როცა 1979 წლის დეკემბრის ბოლოს საბჭოთა ჯარის ნაწილები ავღანეთში შეიჭრნენ, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა მსოფლიოს ქვეყნებს მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტისკენ მოუწოდა. ბოიკოტს 64 ქვეყანა შეუერთდა, მათ შორის - კანადა, გფრ, იაპონია, ჩინეთი, კენია, ნორვეგია. ამის მიუხედავად, მოსკოვის თამაშებზე დელეგაციები გამოგზავნეს აშშ-ის მოკავშირეებმა - დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ირლანდიამ, იტალიამ, ფინეთმა, ახალმა ზელანდიამ, ესპანეთმა და შვედეთმა. ზოგიერთი იმ ქვეყნის დელეგაციამ, რომელიც ბიოკოტს არ შეუერთდა, პროტესტი უშუალოდ თამაშებზე გამოხატა სხვადასხვა ფორმით: ათი დელეგაცია საერთოდ არ გამოვიდა გახსნის აღლუმზე; რამდენიმე დელეგაცია არა სახელმწიფო, არამედ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან საერთაშორისო ოლიმპიური დროშით მოდიოდა; ზოგიერთმა უარი თქვა გამარჯვების შემთხვევაში თავისი ქვეყნის ჰიმნის შესრულებაზე. პრეზიდენტმა კარტერმა უფლება არ მისცა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, დახურვის ცერემონიალზე აღემართათ ამერიკის, როგორც მომავალი ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის დროშა.

25

ხეცურიანი, ი. (2018, June 15). *ერთი გუნდი მოედანზე - Chile - USSR 1974*. Retrieved from https://www.st.edu.ge: https://www.st.edu.ge/blog/view/17

მოსკოვის ოლიმპიადის ჩვენების უფლება ამერიკის ენ-ბი-სის ჰქონდა ნაყიდი, მაგრამ ბოიკოტის გამო მცირე მიმოხილვებით შემოიფარგლა და მთელი თავიანთი ფული უკან გაითხოვა. ოლიმპიადაზე თავისი სპორტსმენები პირველად გაგზავნეს ანგოლამ, ვიეტნამმა, ლაოსმა და მოზამბიკმა. ოლიმპიადა გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა, რომელიც თამაშებამდე ორი წლით ადრე საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედაც აირჩიეს, რათა ოლიმპიადაზე აკრედიტებულ ათასობით ჟურნალისტს პრეზიდენტად მოეხსენიებინა.[26]

---

[26] საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. (2012 წლის 25 June). *მოსკოვი 1980*. მოპოვებული http://geonoc.org.ge: http://geonoc.org.ge/index.php?lang_id=&sec_id=59-დან

3.2

რიმლენდის თეორია და CONIFA-ს გეოპოლიტიკური ასპექტები

საერთაშორისო ურთიერთობები და მათი ანალიზი რთული ფენომენია. თუმცა მისი გააზრება გეოგრაფიის და გეოპოლიტიკის გარეშე შეუძლებელია. უამრავი საერთაშორისო ურთიერთობების, გეოგრაფიის და პოლიტიკური მეცნიერებების წარმომადგენლები მუშაობდნენ ამ თემის ირგვლი. ეს საკითხი განსაკუთრებით პოპულარული გახდა მეოცე საუკუნეში, მას მერე რაც ახალი საერთაშორისო წესრიგი დამყარდა მსოფლიოში. მნიშვნელოვანი თეორია ამ მხრივ ეკუთვნის ნიკოლას სპაიკმენს (1893-1943) რომელმაც დაწერა ნაშრომი „ამერიკის სტრატეგია მსოფლიო პოლიტიკაში“ (1942) და „მსოფლიო გეოგრაფია“ (1944), აღნიშნულ ნაშრომში ის დაუპირისპირდა მაკინდერის პოპულარულ ჰართლენდის თეორიას. ის წერდა: „ვინც დომინირებს რიმლენდზე, მბრძანებლობს მთელ ევრაზიაზე, ვინც ბრძანებლობს ევრაზიაზე, მას ხელში მსოფლიოს ბედი უპყრია.“ [27] (გვ. 35-36.). რიმლენდის თეორია მნიშვნელოვან თეორიად იქცა მეოცე საუკუნეში, თუმცა დღეს მეცნიერები თვლიან რომ აღნიშნული ნაშრომი ვერ ასახავს ჯეროვნად გლობალური სამყაროს მდგომარეობას, თუმცა ეს აზრი საკამათოა. აღნიშნული თეორიის მიხედვით შეგვიძლია განვიხილოთ ორგანიზაცია CONIFA და მისი წევრი ქვეყნების გეოგრაფიული ასპექტები. თუ გადავხედავთ ორგანიზაციის რუკას (***დანართი: იხილეთ რუკა 1***) და რიმლენდის რუკას ***(დანართი: იხილეთ რუკა 2***) ადვილად ამოვიცნობ საერთო კონტურებს. განვიხილოთ სპიკმენის მიერ დადგენილი საზღვრები: „ბალტიის ზღვიდან მოყოლებული, ჩრდილოეთის ზღვას, ინგლისის, დასავლეთ ევროპის ზღვისპირა ზოლის, ევროპულ

---

[27] გორგილაძე, ი. (2009). *გეოპოლიტიკის საფუძვლები.* თბილისი: უნივერსალი.

ხმელთაშიაზღვისპირეთს, სუეცის არხს, წითელ ზღვას, ინდოეთის ოკეანეს, სამხრეთ ჩინეთის, ჩინეთის, იაპონიის, ოხოტისა და ბერინგის ზღვების ჩათვლით.[28] (გვ.36.). მეორეს მხრივ გავეცნოთ CONIFA-ს წევრ ქვეყნებს (***დანართი: იხილეთ ცხრილი #1***) აღმოვაჩენთ შემდეგ თავისებურებას: ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნებიდან 9 აფრიკის, 2 ჩრდ. ამერიკის და 2 ოკეანეთის რეგიონს ეკუთვნის, ხოლო აზიის კონტინენტზე 10 და ევროპაზე 22 წევრი მოდის.[29] აღნიშნული მონაცემების საფუძველძე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რიმლენდის თეორიას ადასტურს ეს თეორია. ორგანიზაციის წევრები რეალურად წარმოადგენენ კონტინენტებზე არსებულ კონფლიქტურ ერთეულებს. მოთხოვნა დამორჩილების ან მეორეს მხრივ სეპარატიზმის და ერთა თვითგამორკვევის ევრაზიის კონტინენტზე ყველაზე მკაფიოდ იკვეთება. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვანთ, რომ სპორტი ასახავს რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ვერ განვიხილავთ მას დამოუკიდებელ სუბიექტად. ასევე აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ როგორც კი, რეგიონში შეიცვლება პოლიტიკური რუკა, ასევე შეიცვლება აღნიშნული ორგანიზაციის წევრების რაოდენობა და რაც შეეხება პოლიტიკურ ცვლილებები საერთაშორისო ურთოერთობები, გეოეკონომიკის, გეოპოლიტიკის და ნაზიონალიცმის იდეის განვითარების შედეგი იქნება.

28

გორგილაძე, ი. (2009). *გეოპოლიტიკის საფუძვლები.* თბილისი: უნივერსალი.

29

ConIFA. (თ. გ.). *ConIFA Members*. მოპოვებული http://www.conifa.org: http://www.conifa.org/en/members/-დან

დასკვნა

როგორც ვხედავთ, რაიმე ერთიანი მიდგომა, რაიმე რეგულაცია არ აქვს არცერთ სპორტულ ორგანიზაციას. ძირითადად კი მაინც ყველა საერთაშორისო აღიარებიდან ამოდის. თუკი არის აღიარება , მაშინ ყველანაირი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა ლეგიტიმურია და ყველა სუბიექტისათვის კარი ღიაა. თუ არადა , მაშინ იწყება დიდი პოლიტიკური თამაშები კონკრეტულ რეგიონში და ხანდახან რეგიონის ფარგლებსაც სცდება. რამდენიმე მაგალითი მიმოვიხილეთ კიდეც ჩვენს ნაშრომში. აქედან გამომდინარე, უამრავი გამონაკლისი არსებობს სხვადასხვა სპორტში, სადაც ისე არის განაწილებული სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაზე გამომსვლელ ნაკრებები თუ გუნდები, რომ არათუ არ ემთხვევა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს, არამედ მნიშვნელოვნადაც კი ცვლის ხოლმე. ერთი ასეთი მაგალითი არის გაერთიანებული სამეფო, რომელიც, არის ერთიანი სამეფო, ერთიან საზღვრებში, თუმცა თითქმის ყველა სპორტულ შეჯიბრებაზე მას გამოყავს 4 ეროვნული ნაკრები და გუნდი. ესენია: ინგლისი, უელსი, შოტლანდია, ჩრდ. ირლანდია. ოლიმპიადაზე ისინი ერთი დროშის ქვეშ გამოდიან. რაგბიში კი, გაერთიანებული სამეფოს ნაწილი , ჩრდ. ირლანდია ირლანდიის რესპუბლიკასთან ერთად მონაწილეობს შეჯიბრებებში. ასეთი გამონაკლისები უხვადაა მსოფლიო სპორტში, რამდენიმე მათგანზე ნაშრომში ვრცლადაც ვისაუბრეთ. აქედან შეგვიძლია დავასჯვნათ, რომ ერთიანი მიდგომა, ერთიანი პრინციპი არ არსებობს ამა თუ იმ ორგანიზაციის წევრობისა. აღიარების გარეშე კი, პოლიტიკა წარმართავს უკვე პროცესს და იმის მიხედვით განისაზღვრება საბოლოოდ, ვინც ამ პოლიტიკის წარმმართველია და აკონტროლებს მეტ-ნაკლებად საერტაშორისო სპორტულ სამყაროს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

2. გორგილაძე, ი. (2009). *გეოპოლიტიკის საფუძვლები.* თბილისი: უნივერსალი

3. მამულაშვილი, მ. (2017, June 13). *ConIFA-ს ე.წ. ევროპის ჩემპიონატზე სეპარატისტები ერთმანეთს დაერივნენ.* Retrieved from https://sportall.ge: https://sportall.ge/fexburti/qarthuli-fekhburthi/skhvadaskhva/105192-conifa-s-ets-evropis-chempionatze-separatistebi-erthmaneths-daerivnen.html

4. მედიაჰოლდინგი პალიტრა. (2013, January 27). *ეგვიპტის სასამართლომ საფეხბურთო მატჩზე მომხდარი არეულობის გამო 21 ადამიანს სიკვდილი მიუსაჯა.* Retrieved from https://www.palitravideo.ge: https://www.palitravideo.ge/yvela-video/msoflio/26377-egviptis-sasamarthlom-safekhburtho-matchze-momkhdari-areulobis-gamo-21-adamians-sikvdili-miusaja.html

5. ნანობაშვილი, ი. (2012, February 2). *უდიდესი საფეხბურთო ტრაგედიები - ომი, "ეიზელი", "ჰილსბორო"...* Retrieved from https://worldsport.ge: https://worldsport.ge/ge/page/udidesi-safexburto-tragediebi-omi-eizeli-hilsboro?media=normal

6. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. (2012, June 25). *მოსკოვი 1980*. Retrieved from http://geonoc.org.ge: http://geonoc.org.ge/index.php?lang_id=&sec_id=59

7. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი. (2018, April 20). *ფიფა-ს ვებგვერდიდან რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, სადაც სავარაუდოდ ე.წ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც იგულისხმებოდა უკვე აღებულია.* Retrieved from https://1tv.ge: https://1tv.ge/news/fifa-s-vebgverdidan-rusetis-mosazghvre-qveynebis-raodenobis-shesakheb-informacia-sadac-savaraudod-afkhazeti-da-e-w-samkhret-osetic-iguliskhmeboda-ukve-aghebulia/

8. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი. (2018, April 22). *ფიფა-ს ოფიციალურ გვერდზე რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოთა შორის სავარაუდოდ, ე.წ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც არის ნაგულისხმევი.* Retrieved from https://1tv.ge: https://1tv.ge/news/fifa-s-oficialur-gverdze-rusetis-mosazghvre-sakhelmwifota-shoris-savaraudod-afkhazeti-da-e-w-samkhret-osetic-aris-naguliskhmevi/

9. ხეცურიანი, ი. (2018, June 15). *ერთი გუნდი მოედანზე - Chile - USSR 1974*. Retrieved from https://www.st.edu.ge: https://www.st.edu.ge/blog/view/17

10. Radio Fortuna. (2016, May 14). *კოსოვო და გიბრალტარი ფიფა-ს წევრები გახდნენ.* Retrieved from http://fortuna.ge: http://fortuna.ge/kosovo-da-gibraltari-fifas-wevrebi-gakhdnen/

11. MediaMall.ge. (2017, October 20). *ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ფეხბურთის ფედერაცია ფიფაში გაწევრიანებას ითხოვს.* Retrieved from http://mediamall.ge: http://mediamall.ge/new/50030-okupirebuli-afkhazetis-ets-fekhburtis-federacia-fifashi-gatsevrianebas-itkhovs

12. Democracy and Freedom Watch. (2016, June 6). *კოსოვოს გაწევრიანების შემდეგ, ფიფა-ს წევრობაზე აფხაზეთიც მიმართავს.* Retrieved from http://dfwatch.net: http://dfwatch.net/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94-42999

13. 24 სათი. (2012, February 3). *საფეხბურთო ტრაგედიები.* Retrieved from http://24blog.ge: http://24blog.ge/news/story/24684-safekhburto-tragediebi

14. BE IN KOSOVO. (n.d.). *Countries that have recognized Kosovo as an independent state*. Retrieved from http://www.beinkosovo.com: http://www.beinkosovo.com/countries-that-have-recognized-kosovo-as-an-independent-state/

15. ConIFA. (n.d.). *ConIFA Football World Cup, 2018*. Retrieved from http://www.conifa.org: http://www.conifa.org/en/wfc-2018/

16. ConIFA. (n.d.). *ConIFA Members*. Retrieved from http://www.conifa.org: http://www.conifa.org/en/members/

17. FIFA (Federation Internationale de Fotball Fedration). (n.d.). *Regulations Governing the admission of Associations to FIFA.* Retrieved from https://resources.fifa.com: https://resources.fifa.com/mm/document/tournament/competition/01/11/80/00/regulationsgoverningtheadmissionofassociationstofifa_efsd_neutral.pdf

18. History on the Net. (n.d.). *The Olympics – Pierre de Coubertin*. Retrieved from www.historyonthenet.com: https://www.historyonthenet.com/the-olympics-pierre-de-coubertin/

19. Montague, J. (2016, May 2). *Ruling Moves Gibraltar Closer to FIFA Membership*. Retrieved from https://www.nytimes.com: https://www.nytimes.com/2016/05/03/sports/soccer/ruling-moves-gibraltar-closer-to-fifa-membership.html

20. Montague, J. (2016, May 3). *UEFA's Recognition of Kosovo Angers Serbs*. Retrieved from https://www.nytimes.com: https://www.nytimes.com/2016/05/04/sports/soccer/uefa-recognizes-kosovo-paving-way-for-fifa-membership.html

21. The World Factbook. (n.d.). *Europe - Faroe Islands*. Retrieved from https://www.cia.gov: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/fo.html

22. The World Factbook. (n.d.). *Europe - Gibraltar*. Retrieved from https://www.cia.gov: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/gi.html

23. The World Factbook. (n.d.). *Europe - Kosovo*. Retrieved from https://www.cia.gov: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/kv.html

24. UEFA. (n.d.). *Kosovo Relishing the future*. Retrieved from http://www.uefa.com: http://www.uefa.com/insideuefa/member-associations/association=kos/index.html

25. Wikipedia. (n.d.). *List of men's national association football teams*. Retrieved from https://en.wikipedia.org: https://en.wikipedia.org/wiki/List_of_men%27s_national_association_football_teams

26. YouTube. (2014, October 18). *Serbia VS Albania/ Full Report/ Video Source*. Retrieved from https://www.youtube.com: https://www.youtube.com/watch?v=KUavsrRUf-c

დანართი

რუკა:#1



რუკა აღებულია ქვემოთ მითითებული წყაროდან, გადმოქართულებულია ავტორის მიერ, პროგრამა Paint-ში

წყარო: https://www.google.ge/search?q=rimland%20theory&safe=active&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0ahUKEwif4bjNjezbAhWLsKQKHTOdAUoQ_AUICigB&biw=1920&bih=974#imgrc=dYRJxH1e9RG1DM:

რუკა: #2

ორგანიზაცია ConIFA-ს წევრების რუკა.

წყარო: http://www.conifa.org/en/members/

სურათი : #1



წყარო : https://1tv.ge/news/fifa-s-vebgverdidan-rusetis-mosazghvre-qveynebis-raodenobis-shesakheb-informacia-sadac-savaraudod-afkhazeti-da-e-w-samkhret-osetic-iguliskhmeboda-ukve-aghebulia/

სურათი: #2



წყარო: https://1tv.ge/news/fifa-s-vebgverdidan-rusetis-mosazghvre-qveynebis-raodenobis-shesakheb-informacia-sadac-savaraudod-afkhazeti-da-e-w-samkhret-osetic-iguliskhmeboda-ukve-aghebulia/

ცხრილი #1

ევროპა	აფხაზეთი, ნიცას სახელმწიფო, დელვიდეკი, დონეცკის სახ. რესპუბლიკა, ელან ვანინი, ფელვიდეკი, ფალცონია, გრენლანდია, კარპატალია, ლუგანსკის სახ. რესპუბლიკა, მონაკო, მთიანი ყარაბაღი, ჩრდ. კვიპროსი, ოქიტანია, პადანია, რაეტია, რომანის ხალხი, საპმი, სკანელანდი, სამხ. ოსეთი, სზეკელი ლანდი, დნესტრისპირეთი, დასავლეთ სომხეთი, იორკშირი
აზია	არამეული სირია, ქურთისტანი, ლეზგინაი, პანჯაბი, როჰინია, რიუკიუ, თამილ ეელამი, ტიბეტი, გაერთიანებული კორეა იაპონიაში, უიუღური
აფრიკა	ბარავა, ბაროტსელანდი, ჩაგოსის კუნძული, დარფური, ქაბულია, მატაბელელანდი, სომალილენდი, დას. საჰარა, ზანზიბარი
ავსტრალია და ოკეანეთი	კირიბატი, ტუვალუ
სამხ. ამერიკა	–
ჩრდ ამერიკა	კასკადია, კვებეკი

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, ConIFA-ს წევრი ქვეყნები,

წყარო: http://www.conifa.org/en/members/

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Zviad Chakhnashvili

Legal and Geographical Issues of Politics Regarding Affiliation to International Sports Organizations

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Science

Supervisor: **Giorgi Gogsadze**

Professor, Chair, Department of Human Geography

Tbilisi 2018